## საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**№ 304 2009 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი**

**ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ამ პრობლემის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდეგში – სამოქმედო გეგმა).

2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა განახორციელოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო).

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოამზადონ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები და სამ თვეში ერთხელ წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.

4. საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ საქმიანობის მონიტორინგის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, დასახული მიზნების მიღწევის გზების დახვეწის მიზნით, სამოქმედო წლის ბოლოს შესაძლებელია სამოქმედო გეგმის კორექტირება.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ეთხოვოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა და თანამშრომლობა საუწყებათაშორისო საბჭოსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის უწყებებთან.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2009 წლის 23 აპრილის
№ 304 განკარგულებით

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | შემსრულებელი | ვადა | ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა | 1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეროვნული რეფერალური მექანიზმის (შემდეგში - ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ჩამოყალიბება | 1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის შემუშავება | ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო (შემდეგში - საუწყებათაშორისო საბჭო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერე-ბის სამინისტრო, საქა-რთველოს იუსტიციის სამინისტრო, ადამია- | 2009 | ეროვნული რეფერალური მექანიზმის მარეგულირე-ბელი დოკუმენტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარე-ბის სახელმწიფო ფონ-დი (შემდეგში - ფონდი) (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | | |
| | 1.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწა | 1.2.1. „ოჯახში ძალა-დობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესა-ხებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკა-ნონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებე-ბისა და დამატებების მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით | საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრ-თელობისა და სოცია-ლური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტი-ციის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო | გეგმის განხორცი-ელების განმავლო-ბაში | მომზადებული ცვლილებათა პაკეტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მისი განხილვის პროცედურების დაწყების ლობირება | ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | | |
| | | 1.2.2. მოქმედი სოციალური მუშაკე-ბის დროებითი სტა-ტუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია | შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი | გეგმის განხორცი-ელების განმავლო-ბაში | დროებითი სტატუსის განმსაზღვ-რელი დოკუმენტი |
| | | 1.2.3. სოციალურ მუშაკად გადამზადე-ბის პროგრამის მომ-ზადება და ინსტიტუ-ციონალიზება | შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | 2010 | ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზა-დებული პროგრამა<br><br>განათლების სამინისტროს მიერ შესაბამი-სი რეგულაცი-ების მომზადე-ბა |
| | | 1.2.4. კანონმდებლო-ბისა და შესაბამისი პრაქტიკის შეფასება ოჯახში ძალადობის მსხვერპლ არასრულ-წლოვნებთან დაკავ- | საუწყებათაშორისო საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, | გეგმის განხორცი-ელების განმავ-ლობაში | კანონმდებლო-ბისა და პრაქ-ტიკის ანალი-ზის საფუძვე-ლზე მომზა-დებული დას- |